ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1643/01/5

ქ. თბილისი 03 თებერვალი, 2011 წ.

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის გიორგი ჩახნაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალგორითმი", მისი დირექტორის გივი კორახაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №21 განკარგულებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის პროცედურით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით პროგრამა -„ჩემი პირველი კომპიუტერი"-ს გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ცალი საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერების (შემდგომში - კომპიუტერები) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შემსყიდველი იტოვებს უფლებას დააზუსტოს მოსაწოდებელი საქონლის (ობიექტის) საერთო რაოდენობა ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2011 წლის 01 ივნისისა.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი შემდეგი ტექნიკური აღწერილობით:

- Tablet Classmate PC Intel – E10IS2
- Display: 10.1 "WSVGA LED LCD
- Processor: Intel Atom N450 (1.66 GHz)
- Memory: 1GB; Memory type: DDR2
- Chipset: intel NM10 Express
- Hard disk: At least SSD 16GB
- Network adapters: Wi-Fi (802.11 b/g) NIC, Fast Ethernet
- Features: Webcam, microfon, speakers
- Keyboard: Water-resistant Standard 101 key keyboard with standard US/Georgian layout (QWERTY);
- I/O ports: 3 Port USB 2.0 VGA/RJ45 (LAN)/Card Reader
- Battery: Lithium-ion 4-cell

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულებაა 265,5 (ორასსამოცდახუთი აშშ დოლარი და 50 ცენტი), საერთო ღირებულება შეადგენს 13 275 000 (ცამეტი მილიონ ორასსამოცდათხუთმეტი ათასი აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, თანხის გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების, (დ.ღ.გ.-ს ტრანსპორტირების, შენახვისა და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო საბოლოო მიწოდების ადგილად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული საქართველოს რაიონული და რეგიონული ცენტრები.

4.3. მიწოდების გრაფიკი:

– პირველი ეტაპი: 4000 (ოთხი ათასი) ცალი საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2011 წლის 25 მარტის ჩათვლით;

– მეორე ეტაპი: 10 000 (ათი ათასი) ცალი საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი 2011 წლის 25 მარტიდან - 2011 წლის 05 მაისის ჩათვლით;

– მესამე ეტაპი: 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ცალი საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი 2011 წლის 01 მაისიდან - 2011 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.5. საქონლის საბოლოო მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი გულუა.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება საქონლის საბოლოო მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება შემდეგი გრაფიკით:

- 4 425 000 (ოთხი მილიონ ოთხას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში, საქონლის მოწოდების პირველ ეტაპამდე;
- 6 849 900 (ექვსი მილიონ რვაას ორმოცდაცხრა ათას ცხრაასი) აშშ დოლარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში, საქონლის მოწოდების მეორე ეტაპამდე;

6.4. ავანსის გადარიცხვა განხორციელდება საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.

6.5. საბანკო გარანტიების (ხელშეკრულების უზრუნველყოფაზე და საავანსო ანგარიშსწორებაზე) მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ს ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და მიმწოდებელი არაჯეროვანი ქმედებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ს ოდენობით.
- მოწოდებულ საქონელზე გაავრცელოს ერთწლიანი საგარანტიო მომსახურება
- უზრუნველყოს საქონლის საგარანტიო მომსახურება სათანადო ავტორიზებული სერვისცენტრების მეშვეობით თბილისსა და მინიმუმ საქართველოს ხუთ რეგიონულ ცენტრში.
- შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის ლიცენზირებული ოპერაციული სისტემის იმიჯის გადაცემისას, მიმწოდებელმა უზრუნველყოს კომპიუტერებზე, (შესყიდვის ობიექტზე) Operating system: windows 7 სისტემის ინსტალაცია.
- შეტყობინების მიღებისთანავე (გონივრულ ვადაში) განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ კი მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ვერ შეძლებს საქონლის მიწოდებას ასეთის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდების გრაფიკით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად გაუგრძელოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების ვადა არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხდის პირგასამტეხლოს მიწოდების გრაფიკით განსაზღვრული ეტაპისთვის მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუკი მიმწოდებელი დამატებით ვადაშიც ვერ უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას და არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2011 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით**, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება

ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ეროი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის შენახვა და ტრანსპორტირება მიწოდების ადგილზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“

მისამართი: ქ.თბილისი დ.უზნაძის ქ.№68
ს/კ 202294980;
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა200122900
კოდი: 220101222
დირექტორი: გიორგი ჩახნაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ალგორითმი”,

მისამართი: ქ.თბილისი,
ლერმონტოვის ქ. №21,
ს/კ 205043237,
ს.ს. „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო”,
ბანკის კოდი: 220101555,
ა/ა 001021740001
დირექტორი: ბიბი კორახაშვილი

(ხელმოწერა)

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	242642
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B11017425
ამონაწერის მომზადების თარიღი:	01/02/2011 18:12:12

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ალგორითმი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის I მ/რ, კორპ. 3, ბ. 27
საიდენტიფიკაციო კოდი:	205043237
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	27/10/2004
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	5/4-4157
მარეგისტრირებელი ორგანო:	ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამ
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01010002791, გივი კორახაშვილი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01010002791, გივი კორახაშვილი,	100.00000000%	205043237-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა102010098763 16/07/2010 12:43:30
  შპს ალგორითმი ს/ნ 205043237
  საგანი: მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, Nსაბ-053, 14.07.2010, თბილისის რეგიონული ცენტრი

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ალგორითმი
ALGORITM

04.თებერვალი 2011წ

ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების

სააგენტოს დირექტორს

ბატონ: გიორგი ჩახნაშვილს.

ბატონო გიორგი, გაწვდით შ.პ.ს. "ალგორითმსა" და ს.ს.ი.პ. "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარები"-ს შორის 03.02.2011წ დადებული ხელშეკრულება № 1643/01/5-ის უზრუნველყოფის 5% საბანკო გარანტიას .

მომსახურე ბანკი: "HSBC ბანკი საქართველო", გარანტიის ნომერი: GTETLI100263

პატივისცემით.

შ.პ.ს „ალგორითმი"-ს

დირექტორი

გ. ჯორჯანაშვილი

WWW.ALGORITHM.GE

დ.აღმაშენებლის ხეივნის მე6 კმ, თბილისი ტელ : 995 32 540916, ფაქსი: 995 32 540917

HSBC

საბანკო გარანტია №GTETLI100263

შესრულების საბანკო გარანტია

ქ. თბილისი **04 თებერვალი 2011 წ.**

ბენეფიციარი: სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ შპს "ალგორითმი" 205043237 (შემდგომში პრინციპალი) თქვენთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1643/01/5 (შემდგომში „ხელშეკრულება") საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერების მიწოდებაზე.

ამასთან, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, პრინციპალს მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენა.

ჩვენ, სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო (შემდგომში "გარანტი"), პრინციპალის თხოვნით, ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, ჯამში 663,750.00 (ექვსასსამოცდასამიათასშვიდასორმოცდაათი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ფარგლებში, გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების დღეს არსებული აშშ დოლარი/ ლარი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე.

მოთხოვნა გადახდაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი პროცედურების დაცვით: მოთხოვნა გადახდაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 2011 წლის 20 სექტემბრისა და მას უნდა ერთვოდეს ან შეიცავდეს შემდეგ განცხადებებს:
"

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:
"-პრინციპალმა ვერ შეძლო ხელშეკრულების პირობების შესრულება
და
-ხელშეკრულების კონკრეტულად რომელი პირობა არ იქნა შესრულებული პრინციპალის მხრიდან
და
-მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს პრინციპალის ვალდებულებას გადახდაზე."

ჩვენ არ ვართ ვალდებული შევამოწმოთ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცია და გადახდაზე მოთხოვნაში მითითებული ინფორმაციის სწორეობა. ასეთი მოთხოვნ(ები)ა ჩვენს მიერ მიღებულ იქნება როგორც დასტური მასში მითითებული ფაქტებისა.

HSBC 204532602 HSBC BANK GEORGIA JSC 15 RUSTAVELI AVENUE, TBILISI, GEORGIA

წინამდებარე გარანტიის თანხა და შესაბამისად ჩვენი ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე ავტომატურად მცირდება ნებისმიერი თანხით რომელიც გადახდილ იქნება ჩვენს მიერ თქვენი მოთხოვნის თანახმად.

წინამდებარე გარანტია ძალას კარგავს 2011 წლის 20 სექტემბერს თბილისის დროით 17სთ-სა 00 წუთზე და მოთხოვნა ანაზღაურებაზე მიღებული აღნიშნული დროის შემდგომ აღარ დაკმაყოფილდება გარანტის მიერ, მიუხედავად იმისა გარანტიის ორიგინალი დაუბრუნდება თუ არა ბანკს.

წერილობითი მოთხოვნა გადახდაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, არაუგვიანეს 2011 წლის 20 სექტემბერს 17 სთ-სა და 00 წუთზე თბილისის დროით, სააქციო საზოგადოება ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №15, 0108, საქართველო.

თქვენ არა ხართ უფლებამოსილი გადასცეთ თქვენი უფლება მოთხოვნაზე მესამე მხარეს ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე.

პატივისცემით,

თამარ ხიზანიშვილი

სს "ეიჩ ეს ბი სი" ბანკი საქართველოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი

HSBC BANK GEORGIA JSC
15 RUSTAVELI AVENUE, TBILISI, GEORGIA

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1643/01/5-2

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" -ს და შპს ,,ალგორითმს" შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ №1643/01/5 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 05 მაისი, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ალგორითმი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") დირექტორის, გივი კორახაშვილის სახით, შპს ,,ალგორითმი"-ს 2011 წლის 05 მაისის №2011ბ330-37 წერილის, 2011 წლის 05 მაისის სააგენტოს №03-253 სამსახურებრივი ბარათის და მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული №1643/01/5 ხელშეკრულების შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ №1643/01/5 ხელშეკრულებაში და შპს ,,ალგორითმს" ხელშეკრულებით განსაზღვრული მეორე ეტაპისათვის გათვალისწინებული პორტატული კომპიუტერების მიწოდების ვადა განესაზღვროს 2011 წლის 05 მაისიდან 2011 წლის 15 მაისის ჩათვლით, რა ვადაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხდის პირგასამტეხლოს მიწოდების გრაფიკით განსაზღვრული ეტაპისათვის მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.
4.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო	შპს ,,ალგორითმი"
ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"-ს	დირექტორი
დირექტორის მოადგილე	
გიორგი გულუა	გივი კორახაშვილი
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1643/01/5-3

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო” -ს და
შპს ,,ალგორითმი ”-ს შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N1643/01/5
ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 19 მაისი, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო” (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია”) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალგორითმი” (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის, გივი კორახაშვილის სახით, შპს ,,ალგორითმი”-ს 2011 წლის 19 მაისის N05\984 წერილის, სააგენტოს დირექტორის მოადგილის, გიორგი გულუას 2011 წლის 19 მაისის N03-280 სამსახურებრივი ბარათის და მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N1643/01/5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N1643/01/5 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,, 6.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება შემდეგი გრაფიკით:
   - 4 425 000 (ოთხი მილიონ ოთხას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში, საქონლის მიწოდების პირველ ეტაპამდე;
   - 6 849 900 (ექვსი მილიონ რვაას ორმოცდაცხრა ათას ცხრაასი) აშშ დოლარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში, არაუგვიანეს 2011 წლის 01 ივლისისა.”
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია ხუთი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 4 ეგზემპლარი დარჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო	შპს ,,ალგორითმი”
ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო”-ს	დირექტორი
დირექტორის მოადგილე	
გიორგი გულუა	გივი კორახაშვილი
---	---
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1643/01/5-4

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" -ს და შპს ,,ალგორითმი "-ს შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N1643/01/5 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 27 მაისი, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალგორითმი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, გივი კორახაშვილის სახით, შპს ,,ალგორითმი"-ს 2011 წლის 25 მაისის N05\1059 წერილის, 2011 წლის 27 მაისის სააგენტოს დირექტორის მოადგილის, გიორგი გულუას N03-300 სამსახურებრივი ბარათის და მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N1643/01/5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულების ობიექტის საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერის ტექნიკური აღწერილობის დაზუსტების მიზნით, განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N1643/01/5 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,, 1.3 ხელშეკრულების ობიექტია საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი შემდეგი ტექნიკური აღწერილობით:

-Tablet Classmate PC Intel-E11IS2
-Display:10.1 "WSVGA LED LCD
-Processor:Inetl® Atom N455 (1.66 GHz)
-Memory:1GB;Memory type:DDR3
-Chipset:intel NM10 Express
-Hard disk:Atleast SSD-16GB
-Network adapters:Wi-Fi (802.11 b/g/n) NIC, Fast Ethernet
-Features:Webcam, microfon, speakers
-Keyboard:Water-resistant Standard 84 Key keyboard with standard US/Georgian layout(QWERTY);
-I/O ports:3 Port USB 2.0 VGA/RJ45 (LAN)/Card Reader
Battery:Lithium-ion3-call

2. ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტში განხორციელებული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდას.
3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

4. შეთანხმება შედგენილია ხუთი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 4 ეგზემპლარი დარჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო”-ს
დირექტორის მოადგილე
გიორგი გულუა

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს ,,ალგორითმი”
დირექტორი
გივი ჯორახაშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1643/01/5-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" -ს და შპს ,,ალგორითმი "-ს შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებულ N1643/01/5 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 25 მარტი, 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალგორითმი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, გივი კორახაშვილის სახით, შპს ,,ალგორითმი"-ს 2011 წლის 25 მარტის N05\458 წერილის, 2011 წლის 25 მარტის სააგენტოს N03-153 სამსახურებრივი ბარათის და მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N1643/01/5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 03 თებერვალს გაფორმებული N1643/01/5 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,, 1.3 ხელშეკრულების ობიექტია საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერი შემდეგი ტექნიკური აღწერილობით:
   - Tablet Classmate PC Intel – E11IS2
   - Display: 10.1 "WSVGA LED LCD
   - Processor: Intel® Atom N455 (1.66 GHz)
   - Memory: 1GB; Memory type: DDR3.
   - Chipset: intel NM10 Express
   - Hard disk: At least SSD 8GB
   - Network adapters: Wi-Fi (802.11 b/g) NIC, Fast Ethernet
   - Features: Webcam, microfon, speakers
   - Keyboard: Water-resistant Standard 101 key keyboard with standard US/Georgian layout (QWERTY);
   - I/O ports: 3 Port USB 2.0 VGA/RJ45 (LAN)/Card Reader
     Battery: Lithium-ion 4-cell
2. ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტში განხორციელებული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდას.
3. განხორციელდეს ცვ ლილება მხ არეთა შორის 2 011 წლის 03 თებერვალს გა ფორმებული N1643/01/5 ხელშეკრულებაში და შპს ,,ალგორითმი"-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მიეცეს დამატებითი ვადა 2011 წლის 26 მარტიდან - 2011 წლის 08 აპრილის ჩათვლით. რა ვადაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების მე-8

მუხლის 8.2 პუნქტის შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს მიწოდების გრაფიკით განსაზღვრული ეტაპისათვის მიუწოდებელი საქონლის (ოთხიათასი ცალი პორტატული კომპიუტერი) ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

4. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

5. შეთანხმება შედგენილია ხუთი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 4 ეგზემპლარი დარჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო	შპს ,,ალგორითმი"
ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"-ს	დირექტორი
დირექტორის მოადგილე	
გიორგი გულუა	გივი კორახაშვილი
---	---
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)